საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისთავი შანშე (პავლე) იასეს ძე

ერისთავი შანშე (პავლე) იასეს ძე (1765–1831), რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი. ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. დ. შ. ერისთავისა და ე. შ. ერისთავის მამა. იყო გიორგი XII-ის ე-ში კაღასბაში. 1800-იდან მსახურობდა დიდი შულავერის მოურავად. 1803-იდან ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. 1811 პირადად შეაიარაღა 200 კაცი და მოქმედებდა რუსებთან ერთად ლეკების წინააღმდეგ. ორჯერ აირჩიეს თბილ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. ერთგული სამსახურისათვის რუს. იმპ. პავლე I-მა დააჯილდოვა ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს საათით და სათუთუნეთი, ალექსანდრე I-მა კი – ოქროს ხმლით და წმ. ანას II ხარისხის ორდენით.

მ. გოგიტიძე